

დამტკიცებულია შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის

დირექტორის ბრძანებით N12 (20.10.2017)

ცვლილებები შეტანილია N1 (12.01.2018)

დირექტორი

მარინე ბოჭორაძე

შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ექთნის თანაშემწე

გორი

2018

- I. **სახელწოდება:** ექთნის თანაშემწე
- II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 09102-3
- III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ექთნის თანაშემწის მესამე საფეხური პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - ექთნის თანაშემწის პროფესიული სტანდარტი
- V. **დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება
- VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ დაწესებულებებში და სოციალურ გარემოში:
- სტაციონარი
 - რეაბილიტაციის ცენტრები
 - შინმოვლა
 - პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა და მოხუცთა სახლები)
 - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (ბაგა-ბაღი)
 - ჰოსპისი
 - თანმხლები პირი(მგზავრობა-მოგზაურობისას)
- VII. **მიზანი:**
ექთნის თანაშემწე არის სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ექიმის/ექთნის მეთვალყურეობის ქვეშ, ფლობს მოსავლელი პირის/პაციენტის მოვლის ზოგად უნარებს და ზრუნავს როგორც პრაქტიკულად ჯანმრთელ (მელოგინე, ჩვილ და მცირეწლოვან), ისე ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებებისა თუ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და ტერმინალურ პაციენტებზე, ინდივიდუალური (ასაკობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური) სპეციფიკის გათვალისწინებით.
ექთნის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს ექთნის თანაშემწისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს ექთნის თანაშემწის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.
- VIII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- მოსავლელი პირის/პაციენტის/მორიგეობის მიღება-გადაბარება
 - პაციენტის მოვლის უზრუნველყოფა
 - ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა
 - უსაფრთხო და კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა პაციენტისა და საკუთარი თავისთვის
 - კომპეტენციის ფარგლებში კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან

- პირად პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

IX. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:

ამერიკის უნივერსიტეტის სკოლა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს, რომელთა მოცულობა შეადგენს 10 კრედიტს.

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

სტუდენტებისთვის რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 81 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობაა 60 კვირა)

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით და მოცულობა შეადგენს 96 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობაა 72 კვირა 60+12)

არაქართულენოვანი პირებისთვის ქართული ენის კომპეტენციის დადასტურებამოხდება ტესტირების საფუძველზე.

XI. სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამის მოცულობაა 81 კრედიტი. აქედან: ზოგადი სავალდებულო მოდულების ჯამური კრედიტების მოცულობაა 16, პროფესიული სავალდებულო მოდულებისა - 55 კრედიტი და არჩევითი მოდულებისა - 10 კრედიტი

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	გაცნობითი პრაქტიკა - ექთნის თანაშემწე	2	გარეგანი ზემოქმედების საშუალებების ავადმყოფი სმოვლაში	2
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა - ექთნის თანაშემწე	8	ექთან-ანესთეზისტიკის სისტირება	2
ანტერპერსონალური კომუნიკაცია	3	პრაქტიკული პროექტი - ექთნის თანაშემწე	5	კინესთეტიკის ძირითადი კურსი სმოვლაში	2
მეწარმეობა 1	2	ავადმყოფის სმოვლა	6	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის სმოვლა	2

უცხოური ენა	4	ბავშვთამოვლისთა ვისებურებებიდან ონატოლოგიური მოვლა	2	საოპერაციო/ სასტერილიზაცი ოქეტონისასისტი რება	2
სამოქალაქო განათლება	2	გერიატრიული პაციენტისმოვლა	2		
		ექიმის/ექთონისასის ტირება	5		
		თერაპიულიპაციენ ტისმოვლა	4		
		ინკურაბელური პაციენტის მოვლა	2		
		მელოგინისმოვლა	2		
		ნევროლოგიურიპა ციენტისმოვლა	2		
		პაციენტისფიზიკუ რიშეფასებაავადმე ოფისმოვლისსაქმე ში	2		
		პირველადი გადაუდებელიდახ მარება	2		
		სამედიცინოტერმი ნოლოგიადადოკუ მენტაციასაექთნო საქმეში	2		
		ფსიქიკურიპრობლ ემებისმქონედაშშმ პაციენტისმოვლის ასპექტები	3		
		შინმოვლა	4		
		ჰიგიენა და ინფექციისკონტრო ლიავადმყოფისმოვ ლისსაქმეში	2		
სულ:	16	სულ:	55	სულ:	10

XII. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:
კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება ხდება:

ა) ქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის A2 მოდულის კრედიტების (15) დადასტურებით სტუდენტის ჩარიცხვისთანავე

ბ) არაქართულენოვანი პირებისთვის ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება მოხდება ტესტირების საფუძველზე.

- გ) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- დ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- ე) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება ხორციელდება როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XIII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართები:

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

დანართი 2 – პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 3 – მოდულები

სავალდებულო ზოგადი მოდულები

- 3.0 ქართული ენა A2 (მხოლოდ არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის)
- 3.1 ინფორმაციული წიგნიერება 1
- 3.2 რაოდენობრივი წიგნიერება
- 3.3 ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- 3.4 მეწარმეობა 1
- 3.5 უცხოური ენა (ინგლისური)
- 3.6 სამოქალაქო განათლება

სავალდებულო პროფესიული მოდულები

- 3.7 გაცნობითი პრაქტიკა - ექთნის თანაშემწე
- 3.8 საწარმოო პრაქტიკა - ექთნის თანაშემწე
- 3.9 პრაქტიკული პროექტი - ექთნის თანაშემწე
- 3.10 ავადმყოფის მოვლა
- 3.11 ბავშვთა მოვლის თავისებურებები და ნეონატოლოგიური მოვლა
- 3.12 გერიატრიული პაციენტის მოვლა
- 3.13 ექიმის/ექთნის ასისტირება
- 3.14 თერაპიული პაციენტის მოვლა
- 3.15 ინკურაბელური პაციენტის მოვლა
- 3.16 მელოგინის მოვლა
- 3.17 ნევროლოგიური პაციენტის მოვლა
- 3.18 პაციენტის ფიზიკური შეფასება ავადმყოფის მოვლის საქმეში
- 3.19 პირველადი გადაუდებელი დახმარება
- 3.20 სამედიცინო ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში
- 3.21 ფსიქიკური პრობლემების მქონე და შშმ პაციენტის მოვლის ასპექტები
- 3.22 შინ მოვლა
- 3.23 ჰიგიენა და ინფექციის კონტროლი ავადმყოფის მოვლის საქმეში

არჩევითი პროფესიული მოდულები

- 3.24 გარეგანი ზემოქმედების საშუალებები ავადმყოფის მოვლაში
- 3.25 ექთან-ანესთეზისტის ასისტირება
- 3.26 კინესთეტიკის ძირითადი კურსი მოვლაში
- 3.27 კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მოვლა
- 3.28 საოპერაციო/სასტერილიზაციო ექთნის ასისტირება

